სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

52842819792618

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180626556

რეგისტრაციის თარიღი

31.05.2018 წ

ნოტარიუსი: დავით ჩალათაშვილი
მისამართი: თბილისი,მტკვრის ქ.#4
ტელეფონი: 2952228

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდათერთმეტ მაისს მე, დავით ჩალათაშვილს საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, მტკვრის ქ. №4, მომმართა **ვაჟა ლაფაჩმა** და მთხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **ვაჟა ლაფაჩმა** (დაბად.16.08.1960წ., რეგისტრირებული მისამართი: გორი ს. ქორდი, პ/ნ № 59001018597, პასპორტის # 09AP82545) მომმართა. ასევე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი მის ქმედუნარიანობაში. შემდეგ შევადგინე წინამდებარე მინდობილობა, რომელიც მოიწონა **ვაჟა ლაფაჩმა** და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

რწმუნებულება

მე, **ვაჟა ლაფაჩმა** (რეკვიზიტები მითითებულია ზემოთ), ამ მინდობილობით, **მიხეილ ჩინჩრიკს** (დაბად.28.05.1964. რეგისტრირებული მისამართი: ცხინვალი სანაპიროს ქ. N 21, პ/ნ № 59002002996, პ/მ სერია ბ1266344) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება:

მიხეილ ჩინჩრიკი იყოს ჩემი წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიაში, არქიტექტურის, ზედამხედველობის და ნებართვების სამსახურში, აღიარების კომისიაში, შპს „საქართველოს სამშენებლო კომპანია“-სთან (ს/კ: 405067467), რათა ჩემი სახელით აწარმოოს საქმეები ჩემს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა #22, სართული 5, ბინა #28 (ს/კ: #01.12.12.024.187.01.01.028) პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, გამოითხოვოს, წარადგინოს და მიიღოს ინფორმაცია, დოკუმენტაცია და საჭირო ცნობები, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, წარადგინოს კორექტირებული პროექტი და ხელზე მიიღოს დამტკიცებული პროექტი, ასევე ჩემს მაგივრად განაცხადოს თანხმობა მშენებარე კორპუსის კორექტირებასთან, წარმომადგინოს როგორც მესაკუთრე და დაიცვას ჩემი ინტერესები, ყველ იმ პირობებით, რაც მინიჭებული აქვს მესაკუთრეს. გადაიხადოს ყველა საჭირო გადასახადი და მოსაკრებელი, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთაღნიშნულთან. ასევე იყოს ჩემი წარმომადგენელი გაზის მომწოდებელ ნებისმიერ კომპანიაში და მოახდინოს გაზის შეყვანა ნებისმიერ უძრავ ქონებაში და განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რაც იქნება დაკავშირებული აღნიშნული დავალების შესასრულებლად.

მიხეილ ჩინჩრიკი უფლებამოსილია **ჩემი** სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, საბუთი და მოწმობა, გადაიხადოს გადასახადები, მოაწეროს ხელი ყველა საჭირო საბუთს და გამიჯვნის ხელშეკრულებას და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

რწმუნებულება ძალაშია 2018 (ორი ათას თვრამეტი) წლის 1 (პირველ) დეკემბრამდე. რწმუნებულება გაცემულია სამ ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ინახება ნოტარიუს დავით ჩალათაშვილის სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს. გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო, საქართველოს მთავრობის 2011წ. 29 დეკემბრის #507 დადგენილებით დამტკიცებული - „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობები, მათი გადახდევინების წესი და მომსახურების ვადები“-ს შესახებ 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად 10 (ათი) ლარი, დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი - თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა და 39 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური - 2.00 (ორი) ლარი, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ხელისმოწერა: ვაჟა ლაფაჩი

ვაჟა ლაფაჩი

ნოტარიუსი

დავით ჩალათაშვილი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

41881265250618

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N180627470

რეგისტრაციის თარიღი

31.05.2018 წ

ნოტარიუსი: ნანი ბარბაქაძე
მისამართი: ქ.თბილისი, ც.დადიანის ქუჩა N 22/24, I სად., II სართ., ბ. N4
ტელეფონი: 591706623

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდათერთმეტ მაისს, მე, **ნოტარიუსს ნანი ბარბაქაძეს,** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ც.დადიანის ქუჩა №22/24, I სად., II სართ., ბ. №4, მომმართა **ბაკური გოგიამ.** მან განაცხადა, რომ სურს გასცეს მინდობილობა **რომანი მირგატიას** სახელზე. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბაკური გოგიამ (დაბ. 01.05.1996წ. სენაკი პ/N39001039873 რეგისტრირებული: ქალაქი სენაკი, დავით დემურიას ქუჩა, N 14, საქართველოს მოქალაქის პასპორტის ნომერი 11BB08002)** მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. ასევე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი და განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. **ბაკური გოგიამ** წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორი ათას თვრამეტი წლის ოცდათერთმეტ მაისს, მე, **ბაკური გოგია (დაბ. 01.05.1996წ. სენაკი პ/N39001039873 რეგისტრირებული: ქალაქი სენაკი, დავით დემურიას ქუჩა, N 14, საქართველოს მოქალაქის პასპორტის ნომერი 11BB08002)** ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ **რომანი მირგატიას (დაბ. 06.07.1991წ. სენაკი პ/N39001037313 რეგისტრირებული: ქალაქი სენაკი, აკაკი ელიავას ქუჩა, N 106, ბინა 2)**, რომ იყოს ჩემი წარმომადგენელი იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში, ქ. თბილისის მერიაში და ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, სანოტარი ბიუროში, შპს „ საქართველოს სამშენებლო კომპანია“-სთან (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405067467) ურთიერთობებში, რათა მართოს და განკარგოს უძრავი ქონებები, მდებარე მის.: ქალაქი თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა N22, სართული 10, ბინა N62 (საკადასტრო კოდი N 01.12.12.024.187.01.01.062) და ქალაქი თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა N22, ავტოსადგომი N27 ნიშნული -3.00 (საკადასტრო კოდი 01.12.12.024.187.01.02.027), შეიტანოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი/ინფორმაცია, მათ შორის მშენებარე კორპუსის, მდებარე ქალაქი თბილისი, ჭყონდიდელის ქუჩა N22 (საკადასტრო კოდი N 01.12.12.024.187) პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით, ასევე მიიღოს პროექტის ცვლილების, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ბრძანება, მშენებლობასთან, დაშენებასთან ან/და დემონტაჟთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი (აზომვითი ნახაზი, შეთანხმება, ნებართვა, ბრძანება და სხვა), გასცეს ნებისმიერი შინაარსის თანხმობა, დადოს კანონით ნებადართული გარიგება, კერძოდ, ნასყიდობის ან/და ჩუქების ხელშეკრულება, საკუთარ თავთან გარიგების დადების უფლებით, განსაზღვროს ხელშეკრულების პირობები თავის შეხედულებისამებრ. ამასთან, იგი უფლებამოსილია მოაწეროს ხელი ყველა საჭირო დოკუმენტს/ხელშეკრულებას, აწარმოოს მოლაპარაკებები, გადაიხადოს დადგენილი გადასახადები და შეასრულოს ის მოქმედებები, რაც საჭირო გახდება წინამდებარე დავალების შესრულებასთან.

ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებები მთლიანად ან ნაწილობრივ არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

მინდობილობა შედგენილია **ოთხ** თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ჩემს სანოტარო არქივში.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად გადახდილია სანოტარო მოქმედების შესრულების საზღაური - 10.00 (ათი) ლარი + 39-ე მუხლის თანახმად ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 2.00 (ორი) ლარი.

ბაკური გოგია ხელმოწერა

ნოტარიუსი ნანი ბარბაქაძე

GEORGIA. NOTARY NANI BARBAKADZE 010013024914